

16 მარტი 2015 წელი

ქ. რუსთავი

ერთის მხრივ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის დავით ჯიქიას სახით და მეორეს მხრივ შპს „ალგეთი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის შალვა შალვაშვილის სახით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 მარტის N450 განკარგულების საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის (გამარტივებული შესყიდვა) და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 16 მარტის №416 ბრძანების თანახმად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „სამუშაო“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1 ქალაქ რუსთავში მეგობრობის გამზირზე მშენებარე არქივის შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები (CPV45200000)
- 2.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების აღწერა და მოცულობა მოცემულია ხელშეკრულებაზე თანდართულ ხარჯთაღრიცხვის დანართში და ნახაზებში.

3. ხელშეკრულების ღირებულება


- 3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 197 000 (ას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარს.
- 3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

- 4.1 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
- 4.2 ანგარიშსწორება წარმოებს ეტაპობრივად, „მიმწოდებლის“ მიერ სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი ფორმა №2-ისა და ანგარიშგაქტურის წარმოდგენის შემდეგ 20 სამუშაო დღის განმავლობაში. ფორმა №2 დამოწმებული და ხელმოწერილი უნდა იყოს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მიერ.
- 4.3 საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. შემსყიდველი უფლებამოსილია ექსპერტიზის დასკვნის გაცემამდე შესრულებულ სამუშაოზე შეაჩეროს საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით.
- 4.4 წინასწარი ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 30%-ის ოდენობით, მხოლოდ „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 2 თვით უნდა აღმატებოდეს სამუშაოს შესრულების საბოლოო ვადას.
- 4.5 დაფინანსების წყარო: 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

5. მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1 შესყიდვის ობიექტის ეტაპობრივად მიღება მოხდება სამუშაოების შესრულებაზე წარმოდგენილი ფორმა №2-ს საფუძველზე დამოწმებული და ხელმოწერილი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მიერ. ხოლო საბოლოო მიღება მოხდება სამუშაოების შესრულებაზე წარმოდგენილი ანგარიშგაქტურისა და ფორმა №2-ს შესაბამისად სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება სრულად მიღებულად, მხოლოდ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში წარმოებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მიმღები ჯგუფის მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელსაც „შემსყიდველის“ მხრიდან ხელს აწერს მიმღები ჯგუფის წევრები და თავმჯდომარე, ხოლო „მიმწოდებლის“ მხრიდან შპს „ალგეთი“-ს წარმომადგენელი.
- 5.2 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:
 - „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული სამუშაოს აღწერა;
 - „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება;
 - „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული სამუშაოს ჩამონათვალი;



Handwritten signature in blue ink.

6. სამუშაოს შესრულების ვადა და ადგილი

- 6.1 სამუშაოს შესრულების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 15 აპრილის ჩათვლით.
- 6.2 სამუშაოს შესრულების ადგილი: ქალაქი რუსთავი, მეგობრობის გამზირი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

- ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
- ბ) სამუშაოს სრულ და ჯეროვნად შესრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
- გ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად ან ხარისხობრივად ნაკლები სამუშაო.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

- ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული ვალდებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.1. პუნქტში;
- ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის დანართისა და ნახაზების შესაბამისად.
- გ) შესრულებულ სამუშაოზე საგარანტიო ვადა: საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წელი.
- დ) მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების გათვალისწინებით, სამუშაოების ხარჯთაღრიცხვების და ნახაზების შესაბამისად.
- ე) „შემსყიდველი“ უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში აწარმოოს შესრულებული სამუშაოებისა და გამოსაყენებელი ძირითადი სამშენებლო მასალების ხარისხის კონტროლი, რომელთა ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს.
- ვ) ხელშეკრულებას თან ერთვის სამუშაოების წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკი, რომელიც წარმოდგენს მის განუყოფელ ნაწილს.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამსახური (წარმოდგენილი მისი უფროსის სახით).

8.2 ინსპექტირების გამწვევის ფუნქციები:

- ა) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
- ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.
- გ) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწვევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.


8.3 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

- 9.1 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5% -ის ოდენობით.
- 9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
- 9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

- 10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
- 10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.



- 10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
- 10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
- 10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
- 10.6 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს გარემო პირობების გათვალისწინებით მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

- 11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
- 11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
- 11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი
 მის: ქ.რუსთავი, მკოსტავას გამზირი №20
 საიდენტიფიკაციო კოდი №216433287
 სახელმწიფო ხაზინა
 ხაზინის ერთიანი ანგარიში
 ბ/კ № TRESGE22
 ა/ა № GE24NB0330100200165022

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი



„მიმწოდებელი“

შპს „ალგეთი“
 მის: ქ. რუსთავი, გაგარინის ქ. №21
 საიდენტიფიკაციო კოდი №234159022
 სს „თი ბი სი ბანკი“
 ბ/კ № TBCBGE22
 ა/ა № GE41TB7564636020100003

შპს „ალგეთი“-ს დირექტორი



ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირი: ალექსი ნავროზაშვილი



ქ. რუსთავეის მუნიციპალიტეტი

დამკვეთის დასახელება

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა

ქ. რუსთავეაში მეკობრობის გამზირზე მშენებარე არქივის შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა

განხ. კოტ.	რაოდ	მ ა ს ა ლ ა		ხელფასი		ტრანსპორტი მექანიზმები		ჯამი	
		კოტ. ფასი	ჯამი	კოტ. ფასი	ჯამი	კოტ. ფასი	ჯამი		
3	4	5	6	7	8	9	10	11	
<p>I. ბორღიურების მოწყობა</p> <p>არსებული ბეტონის ბორღიურების, აბეტონის საფარისა და საფუძვლის დაშლა პნ. ჩაქუნებით ა/თუომცვლელებზე დატვირთვით</p>									
ა	14,5		0	60	870	5	73	943	
ბ	26,8		0		0	3	80	80	
გ	210,0	21	4410	3	630	0,50	105	5145	
დ	350,0	13	4550	3	1050	0,50	175	5775	
ე	14,5	80	1160		0	15,00	218	1378	
ვ	0,24	95	23		0	15,00	4	26	
<p>ბეტონი მ-200</p> <p>ცემენტის ხსნარი 1/1</p> <p>II საფარი ნაწილი (საგზაო ხაზის ტიპი I)</p>									
ა	452,0		0	1	452	2,00	904	1356	
ბ	23,8		0	40	952		0	952	
გ	880,2		0		0	3,00	2641	2641	
დ	244,0	5	1220	2	488	4,00	976	2684	
ე	1220,0	2	2440	0,5	610	1,00	1220	4270	
ვ	1220,0	14	17080	0,5	610	1,00	1220	18910	



აბეჭდონის საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი აბეჭდონის ცხელი ნარევი სისქით 4სმ ტიპი „ბ“ მარკა II	მ ²	1220,0	12	14640	0,5	610	1,00	1220	16470
III სათვალთვალო ჭები	ც	5,0		0	40	200		0	200
სათვალთვალო ჭების გამოწვევა (დაწვევა) და მოყვანა საპროექტო ნიშნულზე	მ ³	0,5	100	50		0	15,00	8	58
ბეტონი მ-300									
IV ტროტუარი									
არსებული ტალახნარევი ხრეშოვანი მასის და ღვრიანეული აბეჭდონის საფარისა და საფუძვლის მოსხნა ექსკავატორით სისქით ჩსა=39სმ	მ ³	229,7		0	1	230	2,00	459	689
ა/თვომცლელზე დატვირთვით 95%	მ ³	12,1		0	25	303		0	303
იგივე ხელით 5%	ტ	447,3		0		0	3,00	1342	1342
ნაშაღის გატანა ა/თვომცლელებით ნაყარში 5 კმ მანძილზე	მ ³	93,0	5	465	2	186	2	186	837
საფუძვლის ქვედა ფენის მოწყობა კვიშახრეშოვანი ნარევი სისქით 15სმ	მ ²	620,0	2	1240	0,5	310	1,00	620	2170
საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ფრაქციული დორდით 0-40მმ სისქით 6სმ	მ ³	31,0	14	434	0,5	16	1,00	31	481
ქვიშის 0-5მმ საფენის მოწყობა სისქით 5სმ	მ ²	620,0	34	21080	12	7440	5,00	3100	31620
საფარის მოწყობა ბაზალტის ფლეთილი ქვით სისქით 10სმ კვიშაცემენტის ნარევეზე	მ ³	18,6	18	335		0		0	335
ქვიშა	ტ	3,7	152	562		0		0	562
ცემენტი მ-400 -									
V დეკორატიული ღობე									
ბრუნტის დამუშავება ხელით ადგილზე დაყრით	მ ³	8,0		0	25	200		0	200
ბებონის საბირკლესის ქვეშ ფრაქციული დორდის მოწყობა 0-40მმ	მ ³	2,5	10	25	5	13	15,00	38	75
ბებონის საბირკლესის მოწყობა	მ ³	6,0		0	60	360		0	360
ბებონის დეკორატიული ღობის (1,35მ) დაშვება და მონტაჟი	მ ²	6,1	80	488		0	15,00	92	580
ლითონის დეკორატიული ღობის (1,35მ) დაშვება და მონტაჟი	მ ²	100,0		0	35	3500		0	3500
ფოლადის კვადრატული მილი 40X40X3	ტონა	86,7	3,2	277		0	0,10	9	286
ფოლადის კვადრატული მილი 30X20X2	ტონა	215,5	2,03	437		0	0,10	22	459
ფოლადის კვადრატული მილი 10X20X1,5	ტონა	59,8	1	60		0	0,10	6	66
ფოლადის კვადრატული მილი 10X10	ტონა	736,2	1,1	810		0	0,10	74	833
ფოლადის კვადრატული მილი 6X6	ტონა	490,8	0,4	196		0	0,10	49	245
ლითონის კვადრატული მასალა ლითონის ღობის და შეხადებელი მასალა დეკორატიული ღობის გაწმენდა და შეკვრა ზეთის საფუძვლით თრპინად	მ ²	1,0	110	110		0		0	110
ფოლადის კვადრატული მასალა	მ ²	80,0		0	4	320		0	320
საფუძვლით თრპინად	მ ²	24,0	4,5	108		0		0	108
საფუძვლით თრპინად	მ ²								



	გპ	57,2		0	1	57	2,00	114	172
ტრანშუას დამუშავება ექსკავატორით ათვიომცლებზე დატვირთვით 90%	გპ	6,4		0	25	160		0	160
იგივე ხელით 10%	ტ	117,7		0		0	5,00	589	589
ნაშალის გატანა ათვიომცლებით ნაჯარში 5კმ მანძილზე	გპ	34,0		0		0	2,00	68	68
ტრანშუას დამუშავება ექსკავატორით და უკუმეორა მიღების ჩაწყობის შემდეგ 90%	გპ	3,8		0	25	95		0	95
იგივე ხელით 10%	ტ	2,0		0	120	240	50,00	100	340
სანიადვრე ჭების მოწყობა	ტ	2,0	60	120		0		0	120
რკინაბეტონის მიგალი ჭის ძირი Ø18	ტ	2,0	80	160		0		0	160
რკინაბეტონის რგოლები ჭების Ø18 ჩ=18	ტ	2,0	150	300		0		0	300
რკინაბეტონის გადახურვის ფილა 128X128X0,228	ტ	2,0	250	500		0		0	500
თუჯის მრგვალი ცხაურიანი სახურავი	ტ	2,0							1840
გოფრირებული მილების ჩაწყობა ტრანშუაში Ø300მმ SN 8 და მიერთება არსებულ შემკრებ სანიადვრე ჭასთან	გრძმ	80,0	20	1600	2	160	1,00	80	
1 მილების შეფუთვა ქვიშით	გპ	10,0	15	150	5	50	15,00	150	350
2 ტრანშუას შუკვება (სავალ ნაწილზე) ქვიშახრეშოვანი ნარკვით	გპ	53,6	5	268	3	161	15,00	804	1233
VII სარწყავი სისტემა და შადრევანი									
ა) სარწყავი სისტემა									
არსებული ატეხონის საფარისა და საფეხკლის დამუშავება 36 ჩაქვებით ათვიომცლებზე	გპ	0,8		0	60	48	5,00	4	52
დატვირთვით წყლის მიღების ჩახაწყობად	ტ	1,5		0		0	5,00	8	8
ნაშალის გატანა ათვიომცლებით ნაჯარში 5კმ მანძილზე	გპ	0,8	15	12	5	4	15,00	12	28
მიღების შეფუთვა შავი ქვიშით	გპ	5,1		0	25	128		0	128
მიწის დამუშავება ხელით და უკუმეორა მიღების ჩაწყობის შემდეგ	გრძმ	120,0	0,7	84	0,5	60		0	144
პლასტმასის მიღების მონტაჟი და ჩაწყობა ტრანშუაში Ø20	ტ	10,0	0,2	2		0		0	2
ფიტინგი Ø20	ტ	5,0	5	25	15	75		0	100
სარწყავი წყლის კვანძი 20მმ	ტ/3	1,0		0		0		0	500
ბუნტიკური პირობა									
ბ) სასმელი წყლის შადრევანი									
სასმელი წყლის ბაზალტის შადრევნის მონტაჟი	გრძმ	1,0	270	270	60	60	40,00	40	370
მკონიონიანი ბეტონის საფუძველზე	გრძმ	18,0	2	36	1	18		0	54
კანდილბაციის პლასტმასის მილი Ø50									
VIII გაზონების მოწყობა									
41 შავი მიწის შემოტანა გახინში და გაშლა სიქით20სმ		232,8	5	1164	5	1164	5,00	1164	3092
42 მილის დაგება		970,0	8	7760	2	1940		0	9700



ა) სკანები

მიწის დამუშავება ხელით წერტილოვანი საძირკვლების მოსაწყობად	მ ³	1,7				0	25	43	0	43
საფუძვლის მომზადება ფრაქციული ღორღით 0-40მმ სისქით 10სმ	მ ³	0,3	10		3	3	10	3	0	6
ბეტონის წერტილოვანი საძირკვლების მოწყობა	მ ³	1,4			0	0	60	84	0	84
ბეტონი მ-200	მ ³	1,5	90		135	135		0	23	158
დეკორატიული სკამების დამზადება, მოწყობა და შეღებვა	ც	9,0			0	0	80	720	0	720
ხის ლარეტისა წიწვოვანი I ხარისხის 60X60მმ	გრძმ	185,0	1,5		278	278		0	0	278
თეთრმჭრელი შურუფი	ც	279,0	0,2		56	56		0	0	56
ხის ლაქი	კგ	13,4	4,5		60	60		0	0	60
ფოლადის კვადრატული მილი 60X40X3	გრძმ	33,1	4,1		136	136		0	0,10	139
ფოლადის ზოლოვანა 40X5	გრძმ	32,2	2,1		68	68		0	0,10	71
ნიტროსადეჰაი	კგ	3,0	5		15	15		0	0	15

ბ) სანაგვე ურნები

დეკორატიული სანაგვე ურნები (ნატურალური მარმარილოსა და ბაზალტის გრანულები, წიფლის ხე)	ც	9,0	380		3420	3420	5	45	15,00	135	3600
--	---	-----	-----	--	------	------	---	----	-------	-----	------

ა) სველი ნაწილის განათების ბოძები

არსებული განათების ბოძების დემონტაჟი და დასაწყობება დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე 5 კმ მანძილზე	ც	4,0			0	0	25	100	25,00	100	200
მიწის დამუშავება ხელით წერტილოვანი საძირკვლების მოსაწყობად	მ ³	0,7			0	0	25	18		0	18
ბეტონის საძირკვლების ქვეშ ფრაქციული ღორღის მოწყობა 0-40მმ	მ ³	0,2	10		2	2	5	1	1,00	0	3
ბეტონის საძირკვლების მოწყობა, ბეტონი მ-200	მ ³	0,5	90		45	45	60	30	15,00	8	83
ფოლადის განათების ბოძების (4ც) დამზადება და მონტაჟი	ც	0,72			0	0	730	526	20,00	14	540
ფოლადის მილი Ø159X4	გრძმ	31,5	24,1		759	759		0		0	759
ფოლადის მილი Ø102X4	გრძმ	8,4	9,5		80	80		0	3,00	25	105
ფოლადის მილი Ø48X3	გრძმ	12,6	3,3		42	42		0	3,00	38	79
ფოლადის ფურცელი სისქით 10მმ	მ ²	0,4	95		38	38		0	3,00	1	39
ფოლადის ფურცელი სისქით 6მმ	მ ²	1,6	45		72	72		0	3,00	5	77
ფოლადის ფურცელი სისქით 10მმ	კვადრ.	4,0	30		30	30		0		0	30
ფოლადის ფურცელი და შესადგენელი მასალები	კვადრ.	4,0			0	0	8	32		0	32
ახალი განათების ფოლადის ბოძების გაშენება და შეღებვა ნიტროსადეჰაით ორპირად	ც	5			26	26		0		0	26
ნიტროსადეჰაი	ც	300			1200	1200	30	120	10,00	40	1360



სანათების ლამპონების მონტაჟი 120W, 85-265V, 90-100L/M/W, (L600xW310xH2 an L745xW310xH2) ბ) სველის განათება

მიწის დამუშავება ხელით წერტილოვანი საძირკვლების მოსაწყობად	მ ³	0,3			0	25	8		0	8	
ბეტონის საძირკვლების ქვეშ ფრაქციული ღორღის მოწყობა 0-40მმ	მ ³	0,1	10		1	10	1	1,00	0	2	
ბეტონის საძირკვლების მოწყობა. ბეტონი მ-200	მ ³	0,2	90		18	60	12	15,00	3	33	
ჩასატანებული დეტალი	ც	5,0	8		40		0		0	40	
განათების დეკორატიული ბოძების მონტაჟი	ც	5,0	450		2250	30	150	20,00	100	2500	
ბ) ელექტრობა											
მიწის დამუშავება ხელით და უკუმყურა კაბულების ჩაწყობის შემდეგ	მ ³	14,4			0	25	360		0	360	
ალუმინის ელ. კაბელის ბატარეა გოფირირებულ მილში და ტრანშეაში ჩაწყობა	გრძმ	200,0	0,65		0	1,5	300		0	300	
ალუმინის ელ. კაბელი აკვბ 2X10	გრძმ	200,0	0,25		130		0		0	130	
გოფირირებული მილი Ø30	გრძმ	7,0	5		50		0	0,20	40	90	
ფოლადის მილი Ø48X3	გრძმ	6,0	3		35		0	3,00	21	56	
გამანაწილებელი კოლოფების მონტაჟი	ც	12,0	3		18	5	30		0	48	
საკლემე იზოლაციორების მონტაჟი	ც	80,0	0,5		36		0		0	36	
ელ კვების მიერთება ხანათებთან ალუმინის ელ კაბელით 2X2,5	გრძმ	24,0			40		0		0	40	
აკტოკალათი	მანკ/სთ				0		0	28,69	689	689	
	ლარი				93733		26349		19248	139830	
ჯამი	ლარი									13983	
ზედნადები ხარჯები (%)	ლარი	0,1								153813	
ჯამი	ლარი									12305	
გვერდური დაგროვება (%)	ლარი	0,08								166118	
ჯამი	ლარი									831	
ბათუკალისწინებელი ხარჯები (%)	ლარი	0,005								166949	
ჯამი	ლარი									30051	
დ.ბ.ბ. (18%)	ლარი	0,18								197000	
ჯამი	ლარი										

შენიშვნა: ასფალტ-ბეტონის სფარის ნაცვლად გთავაზობთ 10 სმ სისქის ბაზალტის ფლეთილი ქვის ფენილის კომბინაციას მოხვეწილ ბეტონთან მონაცვლეობით როგორც ქ თბილისში აღმაშენებლის გამზირზე

Handwritten signature



Handwritten signature

შ.შალვაშვილი

კალენდარული გრაფიკი
 მკვობრობის გამზირზე მშენებარე არქივის შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა

№	სამუშაოთა ჩამონათვალი	ფ.გ.ფ.	რაოდენობა	მარტი															აპრილი										
				17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	ბაზალტის ბორღორების მოწყობა ბეტონის საფუძველზე 15X30სმ)	გრ.ძ.მ	210	[Horizontal bars indicating work schedule]																									
2	ბაზალტის ბორღორების მოწყობა ბეტონის საფუძველზე 10X20სმ)	მ	350	[Horizontal bars indicating work schedule]																									
3	საფუძვლის მომზადება და ორფენიანი (5+4სმ) აბეტონის საფარის მოწყობა სავალ ნაწილზე	მ2	1220	[Horizontal bars indicating work schedule]																									
4	საფუძვლის მომზადება და საფეხბავლო ბილიკის მოწყობა ბაზალტის ფლეთილი ქვით 10სმ	მ2	620	[Horizontal bars indicating work schedule]																									
5	ლითონის დეკორატიული დობის მოწყობა	გრ.ძ.მ	100	[Horizontal bars indicating work schedule]																									
6	სანიაღვრე ქსელის მოწყობა	გრ.ძ.მ	80	[Horizontal bars indicating work schedule]																									
7	სარწყავო სისტემის მოწყობა	გრ.ძ.მ	120	[Horizontal bars indicating work schedule]																									
8	გაზონების მოწყობა და მიდის დაგება	მ2	970	[Horizontal bars indicating work schedule]																									
9	სასმელი წყლის შადრეკვის მოწყობა	ც	1	[Horizontal bars indicating work schedule]																									
10	სკამებისა და სანაგამ ურნების მოწყობა	კომპლ	9	[Horizontal bars indicating work schedule]																									
11	გარე განათების მოწყობა	ბიძი	4	[Horizontal bars indicating work schedule]																									
12	სკვერის განათების მოწყობა	ბიძი	5	[Horizontal bars indicating work schedule]																									
13	სამშენებლო ნაგავის გატანა ნაკარზე	0	474	[Horizontal bars indicating work schedule]																									




შენიშვნა: წინამდებარე დანართი რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს ხელმოწერილი და ბეჭდით დასმული უნდა იქნას სრულდებას მიერ.

შპს "ალგეო"ს დირექტორი:

შპს "ალგეო"ს

ეჭლის ახსნის ტექნიკური დეტალი





ქ. რუსთაველი გამზარების ბაზრის
 მშენებარე არევის მხარის
 მშენებარე ბარისორის კეთილმორმორა

ეტლის ახსნის დეტალი

	საბინა	ფურსი	ფურსი-ბი
	8.3.	10	10
შ.პ.ს. "რეკონსტრუქციისა და პროექტირების კომპანია"			2014 წლის

განათება ბოძი №2



ქ.რუსთავში მემკობრეობის გაზიარება
მშენებლურ არქივის შენობის
მიმდებარე ტერიტორიის ხატილმორეობა





საფი	ფარს.	ფარს.-ბი
მ.კ.	07	10

განათების ბოძი №2


მ.კ.ს. "ურემი"
2013 წელი

განათების ბოძი №1





ლაზიონი

სახეობა		
სამუშაო ძალა	120W	120W
ლუმენი	90-100LM/W	90-100LM/W
ვოლტაჟი	85-265v	85-265v
ზომები	L745xW310xH82	L600xW310xH82
დაცვის დონე	IP65	IP65
მასალა	ალუმინი	ალუმინი



ხაზი 1-1 8:1:25




ქ. რუსთაველი მეგობრობის გამზირზე
მშენებარე არქიტექტურის
მიმდებარე ტერიტორიის ხაუთილმოწყობა

განათების ბოძი №1



საფურცელი	ფურცელი	ფურცლები
მ.3.	06	10

გ.პ.ს. "არქიტექტი" 2014 წელი




ՀՅՃԲ ԴՍԱՍՔԵՐԸՆԿԸ



ԾԱՅԹ

ՀՅՃԲ ԴՍԱՍՔԵՐԸՆԿԸ



ԾԱՅԹՆԱԿԱՆ ԾԱՅՈՒՄ




ՀԱՄԱՐՈՒՄԸ ԲԱՅՈՒՐԱԿԱՆ ԾԱՅՈՒՄՆԱԿԱՆ ԳՐԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ԿԵՆՏՐՈՆԻ ԿՐԹԱՆԻՍՏԱՆԻ ԳՐԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ԿԱՌԱՐԱԿՈՒՄԸ

ՁՆՅՑԻ
Ց 1 : 1 0 0



ԱՐԿԻԹԵԿՏՆԻ ԳՐԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ԿԵՆՏՐՈՆԻ ԿՐԹԱՆԻՍՏԱՆԻ ԳՐԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ԿԱՌԱՐԱԿՈՒՄԸ	ԳՐԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ԿԱՌԱՐԱԿՈՒՄԸ
ՏՆՅՑԻ	Ց 1 : 1 0 0




ბაიბუნიანი ბაზა

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკა



ბაიბუნიანი ბაზა





საპროექტო	ფურცელი	ფურცლის	ფურცლის
ბ.პ.	04	10	
83.11.15.000000 2018.02.27			

საქართველოს რესპუბლიკის
 ექსპლუატაციის განყოფილება

ბაიბუნიანი ბაზა
 შპს: 1:100




ლითონის არაჩირი




სტანდარტების განმარტება























მასპალიბაცია:

1. ფოლადის კვადრატული 80ლი 40X40X3
2. ფოლადის კვადრატული 80ლი 30X20X2
3. ფოლადის კვადრატული 80ლი 20X10X1.5
4. ფოლადის კვადრატული 10X10
5. ფოლადის კვადრატული 6X6



		სტადია	ფურც. №	ფურც. აბ
		მ.პ.	08	10
ქ. რუსთაველი გამზარონის გაზონონა შხუნუნუნა არქონის მონონა მიმუნუნა ბარონონის კონონონონონა				
ლონონონის არაჩონონის მონონონა				
შ.პ.ს. არაჩონონი 2014 წელი				

პირობითი აღნიშვნები


-  არსებული გზის სავალი ნაწილი
-  ა/ბატონის საფარი
-  ქვაფენილი (ბაზალტის ფლეთილი ქვა სისქით 10 სმ)
-  გოლი
-  არს. ბორცვიანი
-  სპროექტო ბაზალტის ბორცვიანი 10X20 სმ
-  სპროექტო ბაზალტის ბორცვიანი 15X30 სმ
-  განათების ბოძი №1
-  განათების ბოძი №2
-  არს. გარე განათების ბოძი
-  სანაბი
-  სანაგვე ურვა
-  არს. ხა
-  ელ. ხაბალი 2X10
-  სასმელი წყლის ფაბრიკა
-  სარწყავი წყლის ხა. მილი დ-20
-  სარწყავი წყლის ვანტილი დ-20
-  არსებული სას.წყლის ჰა
-  სანიაღვრა ჰა
-  ხა. გოფრიკაბული მილი დ-300
-  სანაბლიზაციო ხა. მილი დ-50
-  ღიბ. მოაჯირი

რ3-1
348.41 პირობითი ნიშნული
ზღვის დონიდან (კაპარი)

348.20
348.20 ნითალი (სპროექტო) და
გზის (არსებული) ნიშნული

145.63
145.07 სანიაღვრა მხარის ზედა ნიშნული
სანიაღვრა მილის ზედა ნიშნული



ქ.კანთაში მუშაობის განყოფილება განყოფილება არქიტექტორების მიმდებარე ტერიტორიის ავთილმომსახურება					
საბუნ.	ფორმ.	ფორმ.-ბი	საბუნ.	ფორმ.	ფორმ.-ბი
მ.პ.	01	10	მ.პ.	01	10
პირობითი აღნიშვნები					
შ.პ.ს. "არქიტექტი" 2014 წელი					

სამოსის ქონსტრუქცია

ბაზალბის ფლეთილი ქვა სისქით 10სმ
 კვიბა-ცემენბის ნარევი 2,5X3 სმ სისქით
 კვიბა 0-5 მმ სისქით 5სმ
 ფრ. ლორლი 0-40 მმ. სისქით 6 სმ
 კვიბხრეპოვანი ნარევი სისქით 15 სმ
 არს. გრუნბი

წვრ. მარცვლოვანი უბაბონი 4სმ სისქით
 მსხ. მარცვლოვანი უბაბონი 5სმ სისქით
 ფრ. ლორლი 0-40 მმ. სისქით 10 სმ
 კვიბხრეპოვანი ნარევი სისქით 20 სმ
 არს. გრუნბი

ბაზალბის ფლეთილი ქვა სისქით 10სმ
 კვიბა-ცემენბის ნარევი 2,5X3 სმ სისქით
 კვიბა 0-5 მმ სისქით 5სმ
 ფრ. ლორლი 0-40 მმ. სისქით 6 სმ
 კვიბხრეპოვანი ნარევი სისქით 15 სმ
 არს. გრუნბი

გრული
 შავი მიწა
 არს. გრუნბი

გრული
 შავი მიწა
 არს. გრუნბი

გრული
 შავი მიწა
 არს. გრუნბი

არს. კვადრი
 ნაწილი

არს. გორდოური

100-200



ბაზალბის გორდოური

ბაზალბის გორდოური





ქართუაში მშენებლობის ბაზტირვა
 მშენებარე არქიტის შინობის
 მიმდებარე ბერიბორიის კაითლომონა

სამოსის ქონსტრუქცია

სტაბი	ფარს	ფურს-ბი
მ.პ.	09	10



გ.პ.ს. არქიტექტი
 2014 წელი

სიბუაბიური ბაზა




სიბუაბიური ბაზა	ფურც. 02	ფურც. 10
სიბუაბიური ბაზა		
გ.პ.ს. "ურბპლანი" 2014 წელი		

საშის მოწყობა



სანაგვე ურანი



გაბარიტიბები


სიმაღლე: 100სმ
სიგანე: 40სმ
სიძირე: 60სმ

მასალა: გაბარული მარბოლით დააკაბდოს კარბოლით, ნივლინო ნა.

სასმული წყლის ფანდანი

გაბარიტიბები

სიმაღლე: 90სმ
სიგანე: 40სმ
სიძირე: 60სმ
მასალა: გაბარული მარბოლით დააკაბდოს კარბოლით, ნივლინო ნა.



ქ. რუსთავი მხრეთის გზისა და მონაგარის ურბის მხრეთის მიმდებარე ტერიტორიის კეთილდღეობის

საშის სანაგვე ურნისა და სასმული წყლის ფანდანის მოწყობა

	კატორი	ფურსი	ფურსი-აი
	მ.პ.	05	10
			მ.პ.ს. ურბის მხრეთის
			2014 წელი






საქართველოს მთავრობის განკარგულება

№450 2015 წლის 10 მარტი ქ. თბილისი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტს მიეცეს უფლება, ქალაქ რუსთავში, მეგობრობის გამზირზე მშენებარე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული არქივის შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის საჭირო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაივალისწინებული 203 948 (ორას სამი ათას ცხრას ორმოცდარვა) ლარის ფარგლებში, განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი დარიბაშვილი



საქართველო

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის



ბრძანება №416

2015 წლის 16 მარტი

საქართველო, ქალაქი რუსთავი


სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით
განხორციელების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-19 მუხლის „გ“ პუნქტის, 48-ე მუხლის პირველი პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 მარტის N450 განკარგულების გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

- 1.სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, განხორციელდეს ქალაქ რუსთავში, მეგობრობის გამზირზე მშენებარე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საქართველოს ეროვნული არქივის შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის საჭირო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული 203 948(ორას სამი ათას ცხრაას ორმოცდარვა) ლარის ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
2. დაევალოს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს განხორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.
- 3.ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
- 4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (რუსთავი, ბოსტანქალაქის ქუჩა №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქალაქ რუსთავის
მუნიციპალიტეტის მერი



დავით ჯიქია